სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/04

ქ. თბილისი 11 მარტი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე გაყიდვების ლაბორატორიის შექმნის, მისი დებულების დამტკიცებისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №9 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის №01-05-04/05 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 11 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის №01-05-04/05 დადგენილება სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის გაყიდვების ლაბორატორიის შექმნის თაობაზე;

2. დამტკიცდეს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის გაყიდვების ლაბორატორიის დებულება;
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ე" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ე) გაყიდვების ლაბორატორია.".
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**